*დანართი*

# უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულება

## მუხლი 1. მოწესრიგების სფერო და მიზანი

წინამდებარე დებულება აწესრიგებს უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების (შემდგომში - საბჭო) შექმნისა და საქმიანობის საფუძვლებს.

## მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის მიზანი და ფუნქციები

1. საბჭოს საქმიანობის მიზნებია:

ა) ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის გათვალისწინებით, შესაბამისი მიმართულებების/სწავლის სფეროების, დარგების/სპეციალობების ან ქვედარგების/სპეციალიზაციების შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება, მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად მათი განახლების უზრუნველყოფა;

ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, გარე ინიცირებით წარმოდგენილი დარგობრივი მახასიათებლების პროექტების/ცვლილებათა პროექტების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) არსებული დარგობრივი მახასიათებლების განახლება და სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტებისა და ევრო-კავშირის შესაბამისი დირექტივების და რეკომენდაციების გათვალისწინებით;

დ) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების გამჭვირვალე და ერთგვაროვანი კრიტერიუმებისა და მოთხოვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ე) აკრედიტაციის პროცესისა და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ვ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და ამ გზით განათლების ევროპული სივრცისათვის დაახლოების ხელშეწყობა;

ზ) სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კვლევების განვითარების ხელშეწყობა;

თ) უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გასავითარებელ დარგობრივ კომპეტენციათა და შრომის ბაზარის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა.

2. საბჭოს ფუნქციებია:

ა) დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება, ანალიზი ან/და სრულყოფა, გაუქმების მიზანშეწონილობის განხილვა და ცენტრის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა შემდეგ შემთხვევებში:

ა.ა.) საკუთარი ინიციატივით;

ა.ბ.) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, დარგობრივი სამინისტროების, დარგობრივი და დასაქმებულთა/დამსაქმებელთა გაერთიანებების, ასევე სხვა დაინტერესებული მხარის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დასაბუთებული ინიციატივების შესწავლის საფუძველზე.

ბ) მოქმედ ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ახალი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის დამატების, ან არსებულის შეცვლის ან ამოღების შესახებ დაინტერესებული მხარის მიერ ცენტრში წარდგენილი განცხადების განხილვა და ცენტრის დირექტორისთვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა.

3. საბჭო უფლებამოსილია ცენტრის დირექტორს წარუდგინოს რეკომენდაცია შესაბამისი დარგობრივი სამუშაო ჯგუფ(ებ)ის შექმნის შესახებ, სამუშაო ჯგუფის წევრებისა და საბჭოს იმ წევრის მითითებით, რომელიც განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად.

**მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა და ფორმირების წესი**

1. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნას უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოები, კანონმდებლობით დადგენილი მიმართულებების გათვალისწინებით.
2. საბჭოს შექმნის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება საბჭოს უფლებამოსილების ვადა, საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.
3. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია, საბჭოს წევრების კანდიდატურების წარმოდგენის მიზნით მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, დარგობრივ სამინისტროებს, დარგობრივ გაერთიანებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.
4. ცენტრის დირექტორის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილ კანდიდატთა შერჩევისას მხედველობაში მიიღება შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კვლევისა ან/და საგანმანათლებლო საქმიანობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;
გ) ბოლო 5 წლის მანძილზე საგანმანათლებლო, სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის ან/და დარგის უახლესი ტენდენციების განვითარებაში მონაწილეობის დამადასტურებელი აქტივობა (მაგალითად, პუბლიკაციები, გამოგონებები, და სხვ.);
დ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობის გამოცდილება;
ე) კანდიდატი ასევე შესაძლებელია შეირჩეს პროფესიული ნიშნით, რა დროსაც პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით.
5. ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია, საბჭოს წევრების კანდიდატურების წარმოდგენის მიზნით მიმართოს ასევე: დარგობრივ სახელმწიფო უწყებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებებს, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №258 დადგენილებით განსაზღვრულ სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მხარეს.

**მუხლი 4. საბჭოს წევრების უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები**

საბჭოს წევრს შეიძლება ვადაზე ადრე შეუწყდეს უფლებამოსილება შემდეგ შემთხვევებში:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) საბჭოს სხდომაზე სისტემატური დაუსწრებლობის ან/და საკუთარი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების საფუძველზე;
გ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩანის კანონიერ ძალაში შესვლისას;
დ) სასამართლოს მიერ მისი მხარდაჭერის მიმღებად ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებისას;
ე) გარდაცვალებისას.

**მუხლი 5. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღება**

1. საბჭოს საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ცენტრი.

2. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს წევრი უფლებამოსილია სხდომაში მონაწილეობა მიიღოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.
3. სხდომას იწვევს და უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში სხდომას უძღვება თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი.
4. საბჭოს მდივანი ადგენს სხდომის ოქმს. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
5. საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
6. საბჭოს სხდომები დახურულია. საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შესაძლებელია დაინტერესებულ მხარეთა მოწვევა ზეპირ მოსმენაზე განხილვებში მონაწილეობის მისაღებად.
7. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრის წესით. საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმათა თანაბარი განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. ხმის მიცემა ასევე შესაძლებელია დაფიქსირდეს ელექტრონული ფორმით.
8. საბჭოს რეკომენდაციები აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.
9. საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში საბჭოს თავმჯდომარისა და სხდომის მდივნის ხელმოწერებით და წარედგინება ცენტრის დირექტორს.
10. განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაერთვება საბჭოს სხდომის ოქმს.
11. საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები სხდომის ჩატარების გარეშე, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების გზით, იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რეკომენდაცია დაფიქსირებულია წერილობითი ფორმით და მას ეთანხმება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ასეთი ფორმით მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელშიც მიეთითება კომუნიკაციის დაწყებისა და დასრულების თარიღი, ასევე თან ერთვის საბჭოს წევრთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით გამოხატული ნების დამადასტურებელი მტკიცებულებები.